№ 239 ნოემბერი 9, შაბათი 1891 ნოემბერი 9, შაბათი № 239

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებებისა: ულღერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ქართული თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს,

ბ-ნ ქ. ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

## ალლუმი

კომედია-ხუმრობა 4 მოქმედ. გადმოკეთ. ვალ. გუნიას მიერ

1 მოქმედ. ჯარების სადგომი — 2 მოქმედ. სამხედრო თათბირი — 3 მოქმედ. იერიშით მისვლა — 4 მოქმედ. გამარჯვების ნადავლი

მოქმედება სწარმოებს დაბა თიანეთში

პირველსა და უკანასკნელს მოქმედებაში სცენაზე გამოივლის

ახალ დრუჟინის ჯარი ბაირაღითა და სამხედრო მუსიკით

დასასრულ

## ქართული ხორო

ბ-ნ რატილის ლოტბარობით შეასრულებს ეროვნულს ხმებს-

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, აგიევისა; ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, თამაზიშვილი, გუნია და სხვ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტზე ჩაეწერნენ ხუთი წარმოდგენისთვის 20% დაკლებით. მიჰმართონ კალერიან გუნიას, თეატრში, 4—7 საათამდე.

ოთხშაბათს, 13 ნოემბერს, დანიშნულია ვ. აბაშიძის ბენეფისი.

რეჟისორი ნიკ. ავალიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველოს საბჭოსაგან.

20 ნოემბერს 1891 წლისას, საღამოს 8 საათედ, საჯარო ვაჭრობა იქნება გამართული (ვაჭრობის განუმეორებლად) ამა სემინარიის საკუთრების უძრავ მამულის იჯარით გაცემისა. ეს მამული განსვენებულ არუთინ ოქოევის მიერ არის ნაანდერძევი და იმყოფება რიყეზედ, № 49. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში, ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეთა გარდა, დილის 10-დგან 12 საათამდე.

(3—3)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 8-ს, რადგანაც მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დღეობა იყო, ტფილისის სახელოსნო და რკინის გზის მის უმაღლესობის სახელის სასწავლებელში სწავლა აღარა ყოფილა.

*** რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან, სადაც-კი ამ წელს მოსავალი სრულიად არ მოუვიდათ, გლეხები სულ საქართველოს მოაწყდნენ. აქედგან იქ უგზავნიან ფულსა და პურს და ისინი-კი აქ მორბიან სამუშაოდ. ეხლა აქ ვერა შოულობენ სამუშაოს და დიდს გაჭირვებაში არიან. მაგრამ მაინც ყოველ დღე ვხედავთ რუსეთიდგან ტფილისში მომავალს გლეხებს, მაგალითად, ამ თთვის 6-ში ტფილისში ჩამოვიდა—ექვსი ოჯახი, მეორე დღეს—რვა ოჯახი და გუშინ-კი, იმ წვიმა ტლაპოში, ფეხით მოვიდა კიდევ ექვსი სახლობა ავადმყოფის ბავშვებითურთ, რომელნიც ფალასებსა და თივაში გახვეულნი ეტლში იყვნენ ჩაწყობილნი. გლეხები ხალხს შესჩივოდნენ, სამი დღე არა გვიჭამიაო.

*** ტფილისის სამხედრო ბეგარის საკრებულოში უკვე გაუთავებიათ იმ ყმაწვილკაცების გასინჯვა, რომელთაც ამ წელს შეჰხვდათ კენჭი და ჯარის კაცად მიდიან. გაწვეულთა შორის 15 რუსია და დანარჩენი 35 კაცი სომეხი და ქართველი ამ კვირია 50 კაცის წასაყვანად ორასი კაცი გაუსინჯავთ და იმათ შორის ეს 50 კაცი ძლივს ამოურჩევიათ, რადგანაც ბევრი წილი ყმაწვილი კაცი ავადმყოფი და სამხედრო სამსახურისთვის უვარგისი აღმოჩენილა. ეხლა-კი საკრებულოს ექიმები იმათ სინჯავენ, რომელნიც ჯარში არ წავლენ და მხოლოდ ჩარიცხულ იქნებიან სათადარიგოდ.

*** გასულის თთვის უკანასკნელს რიცხვებში შავს ზღვაზე დიდი გრიგალი ყოფილა, რის გამოც თექვსმეტამდე გემი დაღუპულა მგზავრებითურთ. ბევრი წილი უცხოელთა გემები და ხომალდები დაღუპულა, გარდა რუსეთის სამის-ოთხის გემისა. დიდი ღელვა ზღვისა ბათუმსა, ფოთსა, სუხუმსა და ნოვოროსიისკთან ყოფილა და მომეტებული ნაწილი გემებისა შავის ზღვის აღმოსავლეთის მხარეს დაღუპულა. ამ დიდ ღელვის დროს აი სხვათა შორის რა უბედურობა დატრიალებულა ესრედ წოდებულ „ტარხანკუტა"-ს ახლოს. ოდესიდამ მოდიოდა თურმე ბათუმში რუსეთის საზოგადოების გემი „წმინდა ნიკოლოზი". პირველს დღეებში კარგი დარი ყოფილა, მაგრამ ოქტომბრის 28-ში-კი აღმოსავლეთიდამ დაუბერია ცივს ქარს, წამოუთოვლია და ამტყდარა ზღვაზე საშინელი ღელვა. „წმ. ნიკოლოზი"-ი გაჩერებულა „ტარხანტუკიდამ" ცხრა ვერსის მანძილზე. ამ დროს მოდენილა ინგლისის გემი „დინვუ", რომელსაც ვერ გაურჩევია ნისლსა და დიდს ტალღებში მდგომარე „წმ. ნიკოლოზი" და დასჯახებია. გემს მაშინვე წინა მხარე გასტეხია და წყლით ავსილა. ამ გემის შკიპერს მაშინვე მგზავრნი ნავებში ჩაუსხავს და უთხოვნია „დინვუ"-ს კაპიტანისთვინ ეს საცოდავები ზღვის ნაპირას გაასხიო. მაგრამ კაპიტანს თავისს გემზე არ მიუღია ხალხი. ამაობაში ზღვას „წმ. ნიკოლოზის" გემი კიდეც ჩაუძირავს რამდენისამე მესაჭისა და გემზე მსახურებითურთ. ინგლისის გემმა-კი, რომლის მიზეზითაც დაიღუპა „წმ. ნიკოლოზი" არხეინად განაგრძო თურმე გზა. ნავებში მსხდომთაგან ორი კაცი დამრჩვალა-კიდევ და დანარჩენი-კი ზღვის ტალღებს ნაპირას გაურიყნია ცოცხლები.

*** ბ-ნ ილია ზურაბიშვილისაგან მივიღეთ 27 მან. 50 კაპ., თელავში შეკრებილი ჩვენის ბელეტრისტის ალ. ყაზბეგის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 218 მან., ამით შესდგა 245 მან. 50 კაპ. აქვე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც:

თ. ლევან ჩერქეზიშვილმა 1 მან., ანდრია უზნაძემ 1 მან., ლუარსაბ ხელაძემ 1 მან., ნოშრევან მერკვილაძემ 1 მან. ილია ზურაბიშვილმა 1 მან., კოტე წულუკიძემ 1 მან., ილია იმერლიშვილმა 1 მან., მიხეილ ცისკარაშვილმა 1 მან., თ. გიორგი ჭავჭავაძემ 1 მან., ვასილ ხახუტაშვილმა 1 მან., მიხეილ ცაცქიევმა 1 მან., არტემ თათუზოვმა 1 მან., ივანე კოლელიშვილმა 1 მან., კაზიმირ კუკავსკიმ 1 მან., ილია ზარათვიშვილმა 1 მან., სვიმონ ქავრიანმა 1 მან., ნიკოლოზ იორამიშვილმა 1 მან., ქრისტეფორ ზარათვიშვილმა 50 კ., ივანე ზაღ-

# ფელეტონი

### დღიური ბიძია თომასი.

ივნისი.

VI

„კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვისს ტომს ღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!"...
აკაკი

იქნება არ იცნობდეთ ვასილ დიმიტრის ძეს ჭვალაძეს; თუ არ იცნოთ, ურიგო არ იქნება, ამ ჩემის დღიურიდამ გაგაცნოთ; მე იგი შემთხვევით გავიცან და მისი ზნეობითი სურათი ჩემის წიგნის უბეში ჩავიწერე; თუმცა ყარანდაშით ნაწერი, ცოტა არ იყოს, წაშლილა, მაგრამ ზოგან მეხსიერების წიგნი მოვიშველიე და აღვადგინე ნამდვილი სურათი ჭვალაძისა. ვასილი დიდი ხანი არ არის, რაც ცხოვრებაში გამოვიდა და მისს მორევში ცურაობს; მან საშუალო სასწავლებელი გაათავა, ვგონებ, სასულიერო სემინარია. ეს კარგად არ მახსოვს. მისი დედა გაიანე დღესაც ამტკიცებს, რომ ჩემს ვასოს სახელმწიფო ხარჯით აკადემიაში გზავნიდნენ, მაგრამ მე არ ვუყავი, დედისერთა შვილია და ვერ გამოვიმეტეო. ასე იყო, თუ ისე, დღეს გაიანეს შვილიც ცხოვრებაში გამოვიდა. ამ ჟამად იგი სცხოვრობს ერთს მიყრუებულს ქუჩაში; მესამე სართულში ერთი ობოლი ოთახი უჭირავს და თავისს დედითა ცხოვრობს; მისი ოთახი, არა უჭირს-რა, სუფთად არის მოწყობილი; დასავლეთის კედელზედ ერთი ძველ-ახალი „სკრიპკაც" უკიდია. მისის სტოლის წიგნს შეადგენს მიხელსონის ლექსიკონი უცხო ენათა, აქვს სხვა წიგნებიცა: ერთი ცალი ჰომილეტიკა, დერჟავინის ლექსები, კაპიტნის ქალი პუშკინისა, დოღმატიური ღვთის-მეტყველება ანტონისა; ღვთის წინაშე, იმის სტოლზედ ვნახე დაგლეჯილი ტომი ლერმონტოვისა, რომელიც, ალბად, მეტის ხმარებისაგან თუ იყო გაჭუჭყიანებული და დაგლეჯილი. როცა სამსახურიდგან მოიცლიდა, მიხელსონის ლექსიკონს ჩაუჯდებოდა, ფურცლავდა და რაღასაც ცოდვილობდა.

მისს დედას გაიანეს არ მოსწონდა, რომ ვასია მუდამ ამ წიგნებში ჩაიცქირებოდა.

— ნეტა ერთი ვიცოდე, რა გამოგაქვს ამ წიგნებიდამა, ტყუილად იწყალებ თვალებსა, ეუბნებოდა ხოლმე დედა შვილსა: ემანდერ, ჯერ ოც-და-ხუთის წლის ბიჭი არა ხარ, და თვალებზედ სათვალეები გადევს.

— განა იმიტომ, დედი, რომ თვალები მტკივა; მამწონს, ე. ი. მე-კი არ მომწონს, დიდებულის ქალებს მოსწონთ; მთხოვეს „აჩკები" გაიკეთეო; ეხლა, დედა, წვერიც ბულანჟესებურად უნდა გავიკრიჭო, შემომხედე, აი ასე—წამოხტა, სარკის წინ დადგა და აჩვენა დედას, თუ როგორია ბულანჟესებური წვერი და რა მოსახდენია; წარმოიდგინე, ვანომ, აი ჩემმა მეგობარმა ცალქალამანიძემ, ასე გაიკრიჭა და ისეთი უხდება, რომ სულ ჰხატავს, მერე ხელიც რა ლამაზად ევლება ნიკაპზედ. როგორიც კარგია ბულანჟე, ისეთი კარგი რამეც მოუგონია.

— რა ვქნა, შვილო, ეგ ბლამანჟე რა არის? საჭმელია, თუ სასმელი, აგრე რომ მოგწონს?

— ხა, ხა, ხა! ჩაიხარხარა ვასომ, ლექსიკონი მოჰკეცა და ამპარტავნულად თავი გვერდზედ გადიხარა, ცალი ხელი სტოლს დააბჯინა და ღიმილით უთხრა დედას: ბულანჟე, დედაჩემო, ბულანჟე! ვაი შენ ჩემო თავო! აქნამდის არ იცი, ვინ არის? ან ბისმარკი არ იცი, ვინ არის?

— რა მეცოდინება, შვილო! შენსავით სკოლები უნდა გამეთავებინა, შვიდი კლასი მეც დამესრულებინა, რომ ეგენი მცოდნოდა. მე, შვილო, რუსთველის მეტი არავინ ვიცი, ჩემს ყმაწვილ-ქალობაში იმაზედ ვერთობოდი; ეხლაც, ამ სიბერის დროს, ჩემს გაწყალებულს გულს ის მამიფონებს ხოლმე.

— ვინ რუსთველი, რა რუსთველი! რას ამბობ, დედაჩემო! ბულანჟე ისეთი კაცია, ისეთი კაცია, რომა აბა რა გითხრა. აბა დიდი კაცი უნდა იყოს, რომ აქაოდა იმან ასე გაიკრიჭა წვერიო, მთელი ქვეყანა იმასა ჰბაძავს.

— ვაი ჩემს შერცხვენასა, ვაი ამ დღის მომსწრეს! ქვეყანა გამაიმუნებულა, შვილო! ქვეყანაზე ჭკუის ნატამალი გამწყდარა, შვილო! იმიტომ არის ის ვიღაც ოხერი დიდი კაცი, რომ წვერის კრეჭა მოუგონია! შვილო და, ჩვენმა მოსე დალაქმა მაგის მეტი რაღა იცის, როგორც გინდა, ისე გაგკრეჭავს. მაშ მოსე დალაქზედ დიდი კაცი აღარავინ იქნება!

— არა და, შენი ვიღაც რუსთველი ემჯობინება იმასა აი!

— ვუი დამიდგეს ორთავ თვალები!!... რაებს ჰბოდავ, ჩემო ვასო!.. მამა შენმა, ღმერთმა საუკუნო განსვენებ მისცეს ცხონებულსა, სთქვა— გაიანემ ხელ-გაპყრობით და მოწიწებით პირს ჯვარი გადისახა,—მამაშენმა არ მითხოვა ცოლად, მინამ მზითევის საში „ვეფხვის-ტყაოსანი" არ მოიხსენიეს; ის კაცი, ის ქალი ადამიანი არ იყო, თუ რუსთველი არ იცოდა. ეხლა-ღა? აღარც თქვენი იცით, აღარც სხვისა და რიყეზე ხართ დარჩენილი: შენის ენის დაგმობა, დედის, საკუთარის დედის დაჰგმობაზედ უარესია. ეჰ, ჩვენი ძველი დრო სჯობდა ისევა; თუმცა ასეთი განათლება არ იყო; მაგრამ არც ასეთი გულ-ცივობა იყო, როგორც ეხლა ვხედავ. ეხლანდელს ხალხსა,—ნუ-კი გეწყინება, შვილო,—აღარაფერი არა გწამთ-რა, აღარაფერი არა გიყვართ-რა, თქვენი თავის მეტი. ესეც განათლებამ თუ მოიტანა.

— მაშ შენა ხარ, დედაჩემო, კარგი და შენისთანეები და ჩვენ-კი სულ უხეიროები? ადამიანი დაბერდი, მამა ჩემმა იმისთანა რუსული იცოდა და შენ ერთი სიტყვა ვერ ისწავლე? რომ მომივა ვინმე, მრცხვენიან: შენ ზიხარ და შემოგვცქერიხარ მუნჯივითა.

— სულაც არა, შენმა მზემა; თქვენ რამდენიც გინდათ, უკაცრაული მოხსენებაა, არაკუნეთ, მე იმითი არცა მცხელა, არცა მცივა. თქვენ თუ ლაპარაკობთ, ვინ იცის, ქვეყა-

დოკვმა 1 მან., პეტრე ხუნდაძემ 1 მან., სერგეი მამალაძემ 1 მან., თ. ირაკლი ჭავჭავაძემ 1 მან., მარტიროზ ტერ-სარსარქისოვმა 50 კ., თ. ნიკოლოზ ვახვახიშვილმა 60 კ., ვასილ ზარნოვმა 1 მან., სარქის მიღდისოვმა 50 კ., თ. მიხეილ ანდრონიკაშვილმა 1 მან., ესტატე ხირსელიშვილმა 1 მან., მღვდ. იოვანე მიუკაშვილმა 1 მან., №—მა 40 კ.. სულ—27 მან., 50 კაპ.,

*** დღეს, შაბათს, 9 ნოემბერს, ქართულის თეატრის დარბაზში დანიშნულია თათრული წარმოდგენა. წარმოდგენას ჰმართავენ ცოლ-ქმარნი საფრაზიანნი და არტისტი სოლომონიანი. წარმოდგენა თათრულს ენაზედ, როგორც ამისი განცხადება გვაუწყებს, პირველად და უკანასკნელად იმართება, თუმცა არ ვიცით-კი, რა მიზეზით. წარმოადგენენ თათრულად: მადათიანის ერთ-მოქმედებანს კომედიას „ბაჯი ვე ყარდაშ“ (და და ძმა), საფრაზიანის მიერ გადმოკეთებულს ჲ ვოდევილს „ჩემი მოვალეობაა ხვრინვა“ და თათრულად, რუსულად და სომხურად მადათიანისავე ვოდევილს: „კრტ-კრტ.“-ს

*** ხუთშაბათს, ამ თთვიის 7, ძმათა ნიკიტინების ცირკმა პირველი წარმოდგენა გამართა. პირველისავე წარმოდგენიდგან სჩანს, რომ ცირკის დირექტორებს არ დაუნანიათ ფული კარგის არტისტების მოსაწვევად. რამდენიმე ცხენი საფრანგეთიდგან გამოუწერიათ. ცირკში ყურადღებას იქცევს ისპანელთა ბალეტი, რომელშიაც გამოჩენილი ბალერინა ქ-ნი ავრორაა. ცირკის დასში სამოც არტისტამდეა. ჯერ მხოლოდ ჩამოუყვანიათ 42 ცხენი და ამ დღეებში მოელიან კიდევ ზღვით სხვა ცხენებს, ხარებსა და სხვა-და-სხვა მანქანებს ცირკში წყლის ბალეტის გასამართად. ამ პირველს წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

*** ფოთი: წარსულის თთვის 27-ს ერთს აქაურს მცხოვრებელს, უშვილო ცოლ-ქმარს ყმაწვილი ზედ კარებზედ მიუყვანეს. აი ეს ამბავი წვლილად: ღამის ათი თუ თერთმეტი საათი ყოფილიყო. მისულიყო ვიღაცა სარკმელთან და დაერახუნებინა. მასპინძელს შეშინებოდა და ქურდები ჰგონებოდა. ცოტა ხანს შემდეგ გული მოებრუნებინა, აეღო რევოლვერი და გამოსულიყო, მაგრამ ვერავინ ვერ ენახა. მერე დერეფნის წინ შეემჩნია რაღაცა, გაესინჯა და დაენახა: კარგა სუფთად დაწნულს კალათში იყო დიძინებული ყმაწვილი ვაჟი. იქვე იყო თურმე ბარათი, ქართულად დაწერილი—ეს ყმაწვილი თქვენის სულის გულისთვის გამიზარდეთო.

*** იქიდამვე: აქ კარგა ხანია, ხმა ისმოდა, ვითომ ხელის მოწერაა გამართული მამია გურიელის ძეგლის ასაგებ ფონდისათვისა, მაგრამ ვგონებ, ჩაილურის წყალს გაჰყვა ეს ამბავი. აქაურ ნოქრებ შორის სურვილი აღიძრა, ა. ყაზბეგის შესაწევნელად თავიანთ შორის ხელის მოწერა გაემართათ, მაგრამ, ვგონებ, ესეც ჩაილურის წყალს გაჰყვება, როგორც ყოველი კეთილი საქმე, რადგან ფოთის ჰავა კეთილს არაფერს უწყობს ხელს.

*** ამ უკანასკნელს სამს დღეს შაქრის ფასმა ფუთზედ ოთხის აბაზით აიწია! გაზ. „Нов. Обоз.“ ამბობს, ამისი მიზეზი ის არის, რომ რუსეთის იმპერიის შორეულსა და განაპირა ადგილებში და აგრეთვე საზღვარგარედ დიდ-ძალი შაქარი გაზიდეს და შაქრის მწარმოებლებს შეშუდი გამოელიათო. შეიძლება მიზეზი ეს იყოს, მაგრამ ჩვენის შაქრით წვრილად მოვაჭრეებმა-კი ეხლავე ისარგებლეს ამ გარემოებით და გირვანქაზედ ორი კაპიკი წაუმატეს. ისინიც-კი ასე იქცევიან, ვისაც შაქარი ერთის თთვის სავაჭროდაც-კი იმ თავითა აქვს ნასყიდი და, მაშასადამე, ნაკლების მაზანდით.

*** საკვირველია ჩვენის ცხენის რკინის გზის ამბავი: ცივი ქარი ჰქრის, თითქმის ყოველ დღე იცრემლება ცა, მაგრამ ჩვენს უსახელო საზოგადოებას ცხენის რკინის გზისას, როგორც ეტყობა, ჯერ ისევ ზაფხული ჰგონია, დღევანდლამდე ღია ვაგონები დადის, საჯდომი სკამები წვიმისაგან სულ ერთიანად დაჰოჰებულია და ცივის ქარისაგან მგზავრებმა თავი, არ იციან, საით მიუღონ, რომ სუსხი აიცილონ. ნუ თუ დრო არ არის საზამთრო ვაგონების სიარულისა? დღეს გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, ქალაქის გამგეობამ უკვე მოსთხოვა ცხენის რკინის გზის საზოგადოებას, დახურული ვაგონები ატარეთო. საკვირველია, ამას განა კიდევ მოთხოვნა და გაგონება უნდა?

*** ამ თთვის 6, საღამოს 8 საათზე, აგურის ქუჩაზე სასამართლოს მესამე განყოფილების გადამწერმა ფედორ პეტროვმა სიმთვრალის დროს თავის ცოლის მოკვლა განიზრახა, მაგრამ თავისივე ქალი მიეშველა, ხანჯალი წაართვა და დაუმალა. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს.

## დაბა ჲ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ჯიმითი** (სიღნაღის მაზრა), 10 ოქტომბერი. სიღნაღის მაზრაში 52 სოფელია და 83 ათასამდე მცხოვრებელი. ამ ორმოც-და-თორმეტს სოფელში ზოგან მშვენიერს გეგმაზედ აშენებულს სასწავლებელს შეხვდებით, იქვე ლამაზი სადგომი აქვთ კანცელარიისათვისაც. სოფელ ჯიმითს-კი არც ერთი აქვს და არც მეორე, მესამე-კი პურის მაღაზია ძლივს რა წვალებით გააკეთებინეს. მართლაც და არც ერთი სოფელი არ იქნება ესე გონებრივად და ნივთიერად დაცემული, როგორც ჯიმითია. რადა? იქნება ზარმაცი ხალხი სცხოვრობს ს. ჯიმითში? იქნება მარტო ჰამა-სმაზე არიან გადაგებულნი? არა, არც ერთია და არც მეორე მართალია. რუსულის ანდაზისა არ იყოს, „ყოველს ოჯახში თითო მახინჯი არ გამოილევაო“., არც ამ სოფელს აკლია თითო ოროლა მუქთა მჭამელი და გაიძვერა, მაგრამ უმრავლესობასთან ესენი ვერას გახდებიან. ს. ჯიმითში დღეს სცხოვრობს ოთხას ცხრა კომლი გამრჯე, მშრომელი და მიწის მებრძოლი ხალხი. მაგრამ მაინც-კი ძლიერ დაქვეითებულნი არიან ნივთიერად და გონებრივად. ს. ჯიმითს ბატონისათვის თავი არ მოუხრია და საეკკლესიო იყო. მშვენიერი სახნავ-სათესი ადგილები, ბადიაური და მთა ჰქონდა. მრავალი სოფელი სარგებლობდა ამ ადგილებითა, მაგალითებრ ველის-ციხე, ჩუმლაყი, ახაშენი, ჰერემი, ყანდაურა, კაკაბეთი და სხვ. მთელი ველის-ციხის ზვრები სულ ამ ჯიმითის მთიდგან არის შემერქნილი და დღეს-კი, ზემოხსენებულს სოფლებს გარდა, თითქმის მთელი ქიზიყიც სარგებლობს ს. ჯიმითის მთით. ეხლა ს. ჯიმითს ბოლო შეაკვეცეს, „ბადიაური“ ზოგიერთმა მიისაკუთრა. ახლა ისე შეუცოტავდა ს. ჯიმითს სახნავ-სათესი მიწები, რომ იძულებული შეიქმნენ და მშვენიერი მთა სახნავ-ახოებად გატეხეს. აქედგან დაინახავს მკითხველი, რამდენი ხე ამოუფხვრია ძირიანად ს. ჯიმითს თავისს ერთად ერთს საამაყო მთაში. ველიას ახო, ციჩნაკი, მეკლდეური, დიდი ლავზე, პატარა ლავზე, ჰილას წვერი, კუნას წვერი, ციაური, იაზერა, ნასადგომარი, და მრავალი სხვა წინად ტყე იყო. თითო-თითო დღიუ-რი-კი არ გეგონოთ ეს ახოები, ზოგი ოცი და მეტი დღიური იქნება.

თუმცა ბადიაურზე აღარ უშვებდნენ სათიბ-საძოვარზე ს. ჯიმითის საქონელს, მაგრამ მთაში ვინ დაუშლიდა? იმით ნუგეშობდნენ ს. ჯიმითლები, რომ თუ ბოლო ვერ შევინარჩუნეთ, ეს მთა ხომ აქ არისო, და უვლიდნენ ერთგულად თავიანთს საყვარელს მთას, რომელმაც რამდენიმე კაცი იმსხვერპლა და რამდენსამე კიდევ ციმბირს ამოუყო თავი. არ გავიდა დიდი ხანი და ეს მთაც სახელმწიფო მმართველობამ ჩაიბარა. აქაც შეეკრა სოფელს გზა. ახლა-კი ძლიერ შეწუხდა ჯიმითი. დღეს, რასაკვირველია, უფულოდ არავის შეუშვებენ. მოემწყვდა ეს ამოდენა ხალხი საქონელითურთ ერთი-ბეწო ბოხჩა ადგილზე. ამის გამო ბევრმა მიჰყიდ-მოჰყიდა ცხვარი, ღორი და საქონელი; ეხლა თუ ჰყავს ვისმე (ნასამედსაც არ ეყოლება) უღელი ანუ ყევარი, ისიც სამუშაო საქონელი, თორემ მოშენე საქონელს ვინ შეინახავს, როდესაც სახნავი მიწაც არა ჰყოფნით. კარებიდან რომ საქონელი გაგეშვას, მაშინვე სხვის საკუთვნო ადგილში გადავა და საბალახეს მიცემა-კი აღარ შეუძლიან ხალხს. მთელს სოფელს რომ დაუყოთ ეს ხსენებული ბოლო უვარგი კლდე-ღრე-ძეძვიანის გორებით და სახნავით, ძნელად თუ თითო კომლს შეხვდეს ხუთ-ხუთი დესიატინა მიწა. და აბა ამ ერთი-ბეწო მიწით რომელს ერთს საქმეს გაუძლვეს? ხარი და საქონელი შეინახოს, თუ ოჯახი გამოჰკვებოს? ამის მიზეზით ბევრი გადის გარედ და ჰქირაობს თავადებისაგან სახნავს მიწებს—დღიურს ერთ კოდ პურად.

აი, ამ მიწის ვიწროობასა და უქონლობას მიეწერება ნივთიერი დაქვეითება ჯიმითელებისა და გონებრივი საიდანღა იქნება? ამბობენ, ამ სოფელსა ჰქონდა გეგმა მთა მინდვრისაო და ჯერაც დოსტოღრივ არავინ იცის, სად და ვისთან ინახება. ზოგი ამბობს, შუა მთის მონასტერში ინახება სოფ. ჯიმითის ბოლოს გეგმა, და ზოგი კიდე სხვას ასახელებს. ასე თუ ისე, სოფელი ჯიმითი თუ უკან არ წავიდა, წინ აღარ წამოვა. აქამდე კიდევ მიწები ღონიერი იყო, ეხლა სულ გახრიოკდა, გაულონოვდა, გამოელია ძალა და ვეღარ იძლევა წინანდებურს მოსავალს.

ქართველი

---

ნას აბრუნებთ აი! უნდა მესმოდეს თქვენი ჯიჯინი, რომ პასუხები მოგცეთ.

— ხა, ხა, ხა! ვილა ლაპარაკობს ეხლა იმ შენის რუსთველის ენაზედა, ნეტავი ერთი ვიცოდე! Это просто птичій языкъ და სხვა არაფერი, დაუმატა რუსულად ვასომა.

— ვინ არა ლაპარაკობს? მთელი ხალხი ლაპარაკობს, ჩვენ ყველანი, შენა და შენი კოთხუნჯის ამხანაგის მეტი; ამ დღე შეიყრებით და ლამის ენები დაიმტვრიოთ სხვა ენაზედ კაკუნითა.

გაიანეს ძლიერ არ მოსწონდა შვილის გაუკუღმართება; თუმცა ეხლანდელის განათლებით არა ბრწყინავდა, მაგრამ თავისს დედა-ენაზედ კარგად იყო განვითარებული და სათნოებაში აღზრდილი. მუდამ ეკამათებოდა თავისს ერთად ერთს შვილს, მუდამ არიგებდა, რომ სხვაც სცოდნოდა და თავისიც არ დაევიწყებინა. ერთხელ, როდესაც ამისთანა ლაპარაკში იყვნენ, სწორედ იმ დროს, ვასოსთან მივიდა მისი ამხანაგი, რომელსაც გაიანემ ზემოდ კოთხუნჯი უწოდა; ვასოს ამხანაგი ერთობ უგლაგარჯის აგებულებისაა, სწორედ ყველივრის ბერეკას მოგაგონებთ მისი გარეგანი სანახაობა, შინაგანს მისას ხომ ბერეკობის ნიშან წყალიც არა აქვს, არა თუ სხვა რისამე. „ქოთანმა იგორა და თვისი სარქველი იპოვაო“, ნათქვამია. ვასომ სწორედ ღირსეული ამხანაგი იპოვნა ცხოვრებაში, თვისი მსგავსი, თუმცა გარეგნობით ერთმანეთს არა ჰგვანან: ვასო ლამაზი სახისაა, მაგრამ სულის ჰურჰელი ვასოსი ისევე ყარდა და ჰყარს, როგორც სერაფიონისა,—ასე ეძახდნენ ვასოს ამხანაგს; ვასო სულით და გულით უფრო საძაგელი იყო სერაფიონზედ, მაგრამ სერაფიონი უფრო საძაგლად ეჩვენებოდა კაცსა; მისი გარეგანი უგლაგარჯობა, ანუ როგორც გაიანემ სამართლიანად წარმოსთქვა,—კოთხუნჯობა მისი უნებლიედ აფიქრებინებდა ადამიანსა, რომ სერაფიონი ისეთივე მახინჯია სულითა, როგორც სახითაო. მაგრამ გავიმეორებ, სერაფიონი ისე არ იყო შექმული სისაძაგლით, როგორც ვასო; ცხოვრებაში ხშირადა ვცდებით: სახით ლამაზი სულითაც ლამაზი გვგონია, მაგრამ შიგნიდამ გესლით არის ხოლმე გატენილი; როდესაც ამ მშვენიერის ჰურჰლიდამ შმორიანი წყალი ამოდინდება ხოლმე, ჩვენ გვზარავს და გვავიწყებს მისს გარეგანს სილამაზესა. წინაამდეგს შემთხვევაში-კი, როდესაც გარეგნობით თითქმის გონჯია ადამიანი, მაგრამ სული მისი-კი ბრწყინავს სიმშვენიერით, ჩვენ ამისთანა კაცს გარეგანს სიგონჯეს ველარ ვამჩნევთ მისის სულის უზომო სიმშვენიერის გამო. ეს სულის სიმშვენიერე აღზრდაზედ არის დამოკიდებული ჲ ეხლანდელი აღზრდა-კი, მეტი რომ არა ვსთქვათ, უკაცრავად გახლავს: მხოლოდ გარეგნობას აქცევს ყურადღებას; ერთს ალიაქოთსააყენებს ეხლანდელი აღმრზდელი მოლიერის ფილოსოფოსივით, რომელიც იჰაჰება, თუ რადა სთქვეს „ფორმაო ქუდისა და არა ფიგურა“,—დიაღ, ეხლანდელი აღმრზდელი მოლიერის ფილოსოფოსზედ უარესად იჰაჰება, თუ მისს შეგირდს პალტოზე ღილი აკლია, ქუდის კაკარდა თავისს ალაგას არა აქვს, თუ ზაფხულში თეთრის ქუდის მაგიერად სხვა ქუდი დაიხურა, თუ ორი-სამის რვეულის ალაგას ნახევარ დუჟინი არა აქვს და სხვ. ნორჩი სული და გული ბავშვისა, ნორჩი სხეული მისი ეზიდება ამ გარეგნობას, ეთვისება „ფორმას“ თუ „ფიგურას“ და გამოდის გულ-ცივი, გარეგნობით კოხტა, სულით ულაზათო და წამხდარი; მისი სული და გული „ფორმით“ არის გაქდენთილი; წლებიც-კი „ფორმაზედ“ აქვთ მორთულ-მოკაზმული. იგი მთლად გამოჰრილია სხვის ხელითა; თავიცა და ფეხებიც ერთს ყალიბზედ არის ჩამოსხმული; რასაც-კი იგი ფიქრობს, გრძნობს, ლაპარაკობს,—ყოველივე ეს ერთხელვე აქვს გაზეპირებული, ერთხელვე აქვს სინორჩეშივე აღბეჭდილი და ნაბძანები. ეხლანდელი კაცი სინორჩე-სიყრმეშივე მახინჯდება სულითა და გულითა; დღე მუდამ ემატება სიმახინჯე სიმახინჯეს და ივსება ცხოვრების მორევი. ფაბრიკიდამ რომ დამპალი საქონელი გამოდიოდეს, გამყიდველისა რა ბრალია?

ვასომ და სერაფიონმა ერთად დაასრულეს სასწავლებელი; ვასოს მარტო სერაფიონი შერჩა მეგობრად, და, როგორც ბოროტი ენები ამტკიცებენ დღეს, შერჩა იმიტომ, რომ სერაფიონმა ვასოს წყალობით გაათავა კურსიო. ვასო თურმე საშინელი მაბეზღარა იყო; სერაფიანსაც უყვარდა უბრალოდ ამხანაგებზედ ლაპარაკი. ეს ხასიათი ვასომ შეამჩნია და დაიახლოვა; რაც-კი ამბები ხდებოდა სასწავლებელში, სერაფიონი ვასოს ატყობინებდა და ამ უკანასკნელს სხვა-და-სხვა ნაირად შეთხზულ-გადაკეთებული მიჰქონდა უფროსთან, რომელიც მინატანს ახლად შეკონილის ვარდის კონასავით უფხილდებოდა; ვასომ ბეზღობით წინ წაიწია და ისე კარგად გაათავებინეს კურსი, რომ კინაღამ უმაღლესს სასწავლებელშიაც გაგზავნეს სახელმწიფო ხარჯითა; სერაფიონი უხეიროდ სწავლობდა, მაგრამ ისე კარგად გაუკეთა საქმე ვასომ უფროსთან, რომ იმანაც რიგიანი მოწმობა მიიღო; ასე ბეზღობა-ჯაშუშობაში დახელოვნებულნი გამობრძანდნენ ცხოვრების ასპარეზზედ. სხვისთვის არაფრისათვის არ იყვნენ მომზადებულნი და ისევ ძველს გზას დაადგნენ ორთავენი. ზოგიერთს ცხოვრება ხანდისხან თავისს ბჰყალს სასიკეთოდ ჩაჰკიდებს ხოლმე და ისეთს ალაგას მიაგდებს, რომ კაცის გამობრუნება სასიკეთო გზისაკენ ადვილი მოსალოდნელია ხოლმე, მაგრამ ზოგი სრულად იღუპება და ერთხელვე, ყრმობის დროს, ნახარები თხიფსელას ნერგი*) ღრმად იდგამს ფესვს ადამიანის სულში და ამყრალებს. ზოგიერთი რჩება ისევ იმად, რაც სასწავლებელში იყო; ცხოვრება არაფერს უმატებს; არც წინ მიდის, არც უკან; ვასოსაც ასე მოუვიდა, მხოლოდ სერაფიონმა ცოტა რამ ბიჯი წასდგა; სასწავლებელში ნასწავლს ცოტა რამ წაუმატა, თუმცა არავის სასიკეთოდ, მაგრამ მაინც წამატება ჰქვიან.

(დასასრული იქნება)

* თხიფსელა მყრალი მცენარეა.

ავტორი

## საისტორიო მასალა

### II

1027—1072 წ.

ზედა ვარძია ორს მთას შუა მდებარეობს. ხევში (ახალციხის მაზრა), დიდის ვარძიის ზემოდ 3 ვერსის მანძილზედ. ამ ეკკლესიის თალი ჩამონგრეულია. უწინ სამი სამწირველო ჰქონია. კარის თავზე, ჩუქურთმის ჯვრის გარშემო, ხუცურის ასო-მთავრულის ქარაგმით შემდეგი წარწერაა: „დედაო ღვთისაო მეოხ ეყავ ერისთავსა ლიპარის და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულს მოდგინებით აღაშენა წმინდა ეკკლესია ამინ“.

მეოთხე განყოფილების თალი შეკრულია, გზა-ფარული მიდის მთისკენ რამდენსამე საჟენზედ, მერე დახშულია. ამ ეკკლესიაში ქურთები ეხლა საქონლის საკვებს ინახავენ.

### III

წუნდა (ახალქალაქის მაზრაში) ქანდაკით მშვენიერის ხელოვნებით არის გაკეთებული, ორ-სართულიანია. დასავლეთისკენ შემდეგი ხუცური ასომთავრული წარწერა აქვს: „სახელითა ღვთისათა მე იოანე ქართლისამან გურგენის ძემან აღვაშენე ეკკლესია ესე მამულოვანი სახელსა ზედა წმინდის ნათლის მცემელისა სალოცველად ჩემთვის და მშობელთა ჩემთათვის.“

გურგენ ერისთავი ქართლისა (ე. ი. ეხლანდელი ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა) იყო 941—968 წ., ხოლო იოვანე 1027—1072 წ.

### IV

კუმურდო, (960—1008 წ.) დიდად მშვენიერი ეკკლესიაა, ახალ ქალაქიდამ 6—7 ვერსის მანძილზეა, რომლის გუმბათი და ბევრგან კედლებიც სრულიად ჩამოგრეულია. ჩამონგრეულის ქვებისას ერთსაც ვერ იპოვით ეზოში. აღმოსავლეთისკენ, საკურთხეველის ფანჯრის ზემოდ ხუცური ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი ამისი მშენებელი დღესა მას.“ სამხრეთისკენ დიდ კარის ქვაზედ ხუცურის ასოებით სწერია: „შეწევნითა ღვთისათა იოვანე ებისკოპოსმან დავასრულე საძირკველი ამის ეკკლესიისა ხელითა ჩემ ცოდვილისა საკუთრისათა ლეონ მეფისაზე, ადიდენ ღმერთმან. ქორონიკონსა რპდ.

მეორე ქვაზე იქვე იმ ნაირისავე ასოებით: „სახელითა ღვთისა მე იოვანე ებისკოპოსმან დავდევ დღე ახსენება აღაპად იოვანე ერისთავისა. ვინც შესცვალოს კრულია ამით ხატითა ჩემითა ჯვარითა.“ აქვე კარის თავზე: „სახელითა ღვთისა მე ეფრემ ეპისკოპოსმან დავდევ აღაპად გაბრიელ კათალიკოზისა ხუთშაბათსა ყველიერისა პარასკევი დღესასწაული წმინდათა მთავარ-ანგელოსთა და ავიღეთ მისგან ფასი სრული, ვინც შეცვალოს კრული არს ამით ხატითა და ჩემითა ჯვარითა, ქტისტე შეიწყალე სული გაბრიელ კათალიკოზისა“.

აქ, დასავლეთისკენ, გარედ მიშენებულს ეკტერზე—კარის თავზე სწერია: „თი (დედამა) მარიამ დედოფალი აღუშენა შტო ესე მეფობასა მათსა, მღუდელთ-მოძღვრებასა ზოსიმე კუმურდოელისასა“. ამა შენობის დასავლეთის კარზე: „იესო ქრისტე დიდებულ-ჰყავ ორთავე შენსა... იოვანე აღმაშენებელი. ჯირისტინა მემცხრე მათი“. „ქრისტე ადიდე პატრონი ელისბალ, დედა მარიხ: ძენი მისნი ’და ასულნი მათნი ამინ.“

ამ ქვის ნაპირზე: „...გალატოზსა მიქელს შეუნდოს ღმერთმან“. შიგნით ეკკლესიაში ერთს კამარაზე სწერია: „ქრისტე ადიდე გრიგოლი საფლავად“.

ამ საიცარის ხელობის ეკკლესიის გუმბათის დასაწყისში მარჯვნივ ქვაზე მოჰრილია სურათი: თავ-ღია, ქართულად ჩაცმული, სახელო ჩაშვებული, გულზე მარჯვენა ხელ დადებით და წარმოადგენს სურათს ბაგრატ III-სას. იმისი პირდაპირ გასწვრივ, მარცხნივ იმავე ხელოვნებით ამოჰრილია ხელ-გაშვერილის დედის ღმობიერი სურათი, ზედ ამოყვანილია ხუცური ასოები: „ბრდტ“. გურანდუხტ ბაგრატ III დედა (980—1014 წ.)

სამწუხაროდ, ლამის ეს უწინდელი ძველი, ქვაზედ ამოჰრილი სურათები ჩამოვარდეს 6—7 საჟენის სიმაღლიდგან.

კალისტრატე

## რუსეთი

„კაზ. ვესტ.“-ში იწერებიან სარატოვის გუბერნიის კამიშის მაზრიდგან, რომ იქაური მაზრის უფროსებისა და გამომძიებელის კანცელარიებში აუარებელი საჩივრებია შეტანილი ბეღლებისა, საწყობებისა და მაღაზიებიდგან პურის ქურდობის შესახებ. კამიშის მაზრის ერთს ერობის უფროსს უთქვამს, მარტო ჩემს ერობაში ყოველ კვირა სულ ცოტა, 40 ოქმი შესდგება ხოლმე პურის ქურდობის თაობაზეო. დამნაშავენი უმეტესად მთელი სახლობა არის ხოლმე. ამას წინად ერთს ერობის უფროსს ხუთი საქმე გაურჩევია პურის ქურდობისა და იმათში სამს ქურდობაში დამნაშავე მთელი ოჯახობა ყოფილა: მამა, ვაჟი-შვილი და ქალები. ამ საქმეების გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ დამნაშავე ოჯახს მთელი სამი დღე პური არა ჰქონდა საჭმელად და საშინელს სიმშილს იძულებულ უქმნია ქურდობა ჩაედინათ. ამ განზრახვით შეპარულან ერთის შეძლებულის კაცის სახლში, გაუხვრეტიათ ბეღელი და მთელი სამი ღამე უპარავთ ფქვილი. სწორედ რომ შესაბრალისი სანახავები იყვნენ თურმე ეს საცოდავი „ქურდები“: იმათი საცოდავად ჩამომხმარი, გაყვითლებული სახე ამტკიცებდა, რომ მხოლოდ საშინელის სიმშილის გამო ჩაედინათ ქურდობა. მოწმეთა ჩვენებიდგან აღმოჩენილა, რომ ზლობოვენი (დამნაშავე ოჯახის გვარი) მთელს სოფელში ყველაზედ უფრო მშრომელი და პატიოსანი ხალხია. ბევრია აგრეთვე იმის მაგალითიც, რომ შვილი მამას ჰპარავს პურსა და ძმა—ძმასაო.

— ყაზანის გუბერნიაშიაც საშინელი გაჭირვება და სიმშილი ჩამოვარდნილა. იქაური კორესპონდენტი იწერება, მე თითონ ვნახე, რომ ერთი გლეხი ერთს კაცს ფეხებში ჩაუვარდა და სთხოვდა, ერთი ლუკმა პური მაინც მიწყალობე, ორი დღე არა მიჭამია-რაო. ხალხმა არ იცის, ვის მიჰმართოს შემწეობისთვის. სათემო მმართველობა არავის არ აძლევს სიღარიბის მოწმობას, მღვდლის მოწმობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ შემწეობის მისაღებად. სიმშილით შეწუხებული გლეხები თავის სოფლებიდგან სხვა სოფლებში მიდიან საგლახაოდ, მაგრამ იქაც ვერას შოულობენ და ხელცარიელები ბრუნდებიან სახლში. უმეტესობას პური სრულიად არა აქვს საჭმელად და სამუშაო კიდევ არსად არის. გაჭირვებულს ადამიანს არ შეუძლიან 5 კ. სამუშაო იშოვნოს. სიმშილმა იქამდის მიაღწია, რომ ბოროტ-მოქმედება გაძლიერდა. ამას წინად ერთს სოფელში ვიღაცა თათარი შევარდა თურმე ერთს სახლში საქურდლად, იქ ერთი მანდილოსანი დახვდა. ბოროტ-გამზრახველი მივარდნია ამ ქალსა მოსაკლავად, მაგრამ იმ დროს მგზავრები მოდენილან და ამის გამო ქურდი გაქცეულა და ტყეში დამალულა. „Волж. Вѣст.“

## უცხოეთი

**გერმანია.** მშვიდობიანობის საქმეს თანდათან, როგორც აწინდელს საქმეთა ვითარებისაგანა სჩანს, უფრო მეტი და მეტი განსაცდელი მოელის და უმზადდება. იმპერატორი ვილჰელმი ამ ბოლოს დროს სრულიად აღარას ამბობს ამ საგნის შესახებ, მაგრამ გერმანია საშინელის გაფაციცებით-კი შეუდგა შეიარაღების საქმეს. ქალაქ შპანდაუს სახელოსნოებს სამხედრო სამინისტრომ აუარებელი იარაღი შეუკვეთა. რაღა ახსნა სჭირია, თუ რას უნდა ჰნიშნავდეს ეს ამბავი. საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოვებამ დიდი ცეცხლი შეუკეთა გერმანიას. თვით საზოგადოებაც თანაუგრძნობს მთავრობას. რუსეთში ჩამოვარდნილმა სიმშილმა ძლიერ გაახარა გერმანელები და საქმის ასეთს გამწვავების დროს გულზე მალამოდ დაედოთ ეს ამბავი. საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ გერმანელებმა სხვა-და-სხვა ხრიკებით დასწიეს რუსეთის ფონდები ბირჟაზედაო. გერმანული გაზეთები, წინააღმდეგ ფრანგულის გაზეთებისა, სცდილობენ, დაარწმუნონ ქვეყანა, ტყუილად გვიგონებენ, ჩვენ არაფერს შუაში ვართ რუსეთის სესხის საქმეშიო, მაგრამ ტყუილად, ყველა დარწმუნებულია ხსენებულის ამბის სინამდვილესა და ჭეშმარიტებაზე. გაზეთი „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ი არც-კი მალავს ამასა, პირ-იქით ამტკიცებს კიდეც, გერმანელები უთუოდ ასე უნდა მოქცეულიყვნენ და არა სხვა გვარად, რადგან, რუსეთი სიმშილისა გამო დიდს გაჭირვებაში არის ამ ჟამადაო. მთელი წერილი ზემოხსენებულის გაზეთისა სულ ამ კილოთია დაწერილი. კაცი ადვილად მიჰხვდება, რომ გაზეთს რუსეთის გაჭირვება სასიხარულო ამბად მიაჩნია თავისთვის. ამასთანავე გერმანელებს ჰსურთ, დააშინონ ფრანგები, ფრთხილად იყავით, თორემ ჰკუას წააგებთ მაგ რუსულის ქაღალდის ფულის გახშირებითაო. ერთის სიტყვით, მთელი გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა წინააღმდეგია რუსეთისა და მზად არის ომის გამოცხადების ქადაგებას შეუდგეს. როგორც ეტყობა, ომის მომხრეთა დასმა კიდევაც გაიმარჯვა ბერლინში. ეს დასი გაიძახის, სწორედ ეხლაა სახერხო დრო, რომ რუსეთს გავუმკლავდეთო, რადგან სიმშილისაგან სინსილა გამოცლილი აქვსო. განსვენებული მოლტკეც სწორედ ასე ფიქრობდა ხოლმე—ყველაზე სახერხო დროდ ომის ასატეხად სიმშილის ჩამოვარდნა მიაჩნდა მტრის ქვეყანაში. აი რა სწერია ერთს მისს წერილში: „თუ გვინდა, რომ პარიჟი დავანგრიოთ, ჯერ საქონლის საწყობი ადგილები უნდა ჩავიგდოთ ხელში... მაგრამ უფრო დიდი იმედი სიმშილზედა მაქვს, რომელიც თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ თავისას-კი მაინცა სჩადის“.

## დეპეშა

8 ნოემბერი

**პარიჟი.** პარასკევს ელისეის სასახლეში სადილი გაიმართება რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის გირსის პატივსაცემლად.

**კონსტანტინეპოლი.** მარშალი ფუად-ფაშა და მდივანი ხონთქრისა ქიასიმ ბეივი შაბათს ლივადიაში გაემგზავრებიან ხელმწიფე იმპერატორის მისასალმებლად ხონთქრის სახელით.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ნოემბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 45 | — ,, | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 168 | 168½ | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 234 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 215½ |
| —მესამისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | — ,, | — ,, | 200½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

მე-4 ტირაჟი სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% მომგებიან გირავნობის ფურცელთა, მომხდარი პეტერბურგს 1 ნოემბერს.

ხუთას მანათიანი მოგება

| №№ ბილეთი. | №№ სერ. | №№ ბილეთი. | №№ სერ. | №№ ბილეთი. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3,642 | 15 | 635 | 30 | 11,063 |
| 1 | 5,401 | 15 | 4,924 | 30 | 11,166 |
| 1 | 8,242 | 15 | 11,977 | 30 | 15,686 |
| 1 | 10,406 | 15 | 13,696 | 31 | 2,820 |
| 1 | 12,280 | 16 | 777 | 31 | 12,058 |
| 1 | 13,719 | 16 | 1,056 | 32 | 1,218 |
| 1 | 15,552 | 16 | 2,955 | 32 | 9,139 |
| 2 | 1,021 | 16 | 10,528 | 33 | 38 |
| 2 | 3,008 | 16 | 15,483 | 33 | 1,221 |
| 2 | 5,827 | 17 | 13 | 33 | 4,498 |
| 2 | 11,231 | 17 | 6,221 | 33 | 9,299 |
| 2 | 11,876 | 17 | 7,430 | 33 | 12,819 |
| 2 | 13,776 | 17 | 10,156 | 33 | 13,586 |
| 2 | 15,093 | 17 | 10,893 | 34 | 5,626 |
| 2 | 15,128 | 18 | 2,337 | 34 | 5,675 |
| 3 | 4,991 | 18 | 3,132 | 34 | 8,146 |
| 3 | 5,805 | 18 | 4,346 | 34 | 13,205 |
| 3 | 7,033 | 18 | 4,628 | 35 | 2,313 |
| 3 | 9,884 | 18 | 9,595 | 35 | 10,160 |
| 3 | 11,263 | 18 | 13,060 | 35 | 13,339 |
| 3 | 15,806 | 19 | 1,044 | 36 | 188 |
| 3 | 15,882 | 19 | 1,901 | 36 | 1,396 |
| 4 | 1,133 | 19 | 4,295 | 36 | 4,959 |
| 4 | 3,542 | 19 | 8,419 | 36 | 15,919 |
| 4 | 4,765 | 19 | 13.652 | 37 | 8,424 |
| 4 | 4,787 | 19 | 14,499 | 37 | 8,816 |
| 4 | 11,967 | 19 | 15,753 | 37 | 13,155 |
| 4 | 15,535 | 20 | 2,669 | 38 | 8,938 |
| 5 | 1,589 | 20 | 3,678 | 38 | 9,868 |
| 5 | 2,456 | 20 | 3,991 | 38 | 11,698 |
| 5 | 2,874 | 20 | 4,168 | 39 | 9,105 |
| 5 | 4,284 | 20 | 8,473 | 39 | 11,329 |
| 5 | 5,736 | 20 | 8,496 | 39 | 12,054 |
| 5 | 6,333 | 20 | 10,255 | 39 | 15,553 |
| 5 | 13,236 | 20 | 14,411 | 40 | 4,263 |
| 6 | 5,758 | 20 | 14,880 | 40 | 12,726 |
| 6 | 6,228 | 21 | 1,927 | 40 | 14,298 |
| 6 | 7,958 | 21 | 8,708 | 41 | 717 |
| 6 | 12,236 | 21 | 13,346 | 41 | 3,438 |
| 6 | 15,762 | 21 | 14,857 | 41 | 6,545 |
| 7 | 8,992 | 22 | 6,982 | 41 | 9,095 |
| 7 | 10,815 | 22 | 7,736 | 41 | 10,107 |
| 7 | 14,465 | 23 | 6,460 | 42 | 8,210 |
| 8 | 4,229 | 23 | 9,665 | 42 | 13,028 |
| 8 | 6,279 | 24 | 9,209 | 43 | 532 |
| 8 | 6,621 | 24 | 13,639 | 43 | 9,399 |
| 8 | 8,119 | 24 | 15,104 | 43 | 13,063 |
| 8 | 9,887 | 25 | 130 | 43 | 13,415 |
| 8 | 11,912 | 25 | 444 | 43 | 14,203 |
| 8 | 13,472 | 25 | 6,952 | 44 | 1,279 |
| 9 | 159 | 25 | 10,711 | 44 | 2,823 |
| 9 | 629 | 25 | 15,362 | 44 | 8,914 |
| 9 | 979 | 26 | 280 | 44 | 8,160 |
| 9 | 7,561 | 26 | 1,910 | 44 | 15,733 |
| 9 | 10,320 | 26 | 4,029 | 45 | 6,928 |
| 9 | 13,616 | 26 | 4,146 | 46 | 2,576 |
| 10 | 3,646 | 26 | 4,489 | 46 | 4,734 |
| 10 | 4,657 | 26 | 5,184 | 46 | 7,698 |
| 10 | 14,483 | 26 | 9,432 | 46 | 11,968 |
| 11 | 2,619 | 26 | 13,888 | 47 | 2,031 |
| 11 | 4,852 | 26 | 15,013 | 47 | 4,834 |
| 11 | 9,761 | 27 | 1,321 | 47 | 6,562 |
| 11 | 9,981 | 27 | 2,467 | 47 | 7,507 |
| 11 | 14,229 | 27 | 4,594 | 47 | 8,099 |
| 12 | 147 | 27 | 5,004 | 47 | 9,504 |
| 12 | 3,224 | 27 | 5,232 | 48 | 2,848 |
| 12 | 9,728 | 27 | 7,111 | 48 | 5,011 |
| 12 | 9,829 | 27 | 13,297 | 48 | 6,068 |
| 12 | 10,087 | 28 | 7,277 | 48 | 7,613 |
| 12 | 11,264 | 28 | 8,867 | 48 | 7,911 |
| 12 | 11,870 | 28 | 10,903 | 48 | 9,059 |
| 12 | 13,527 | 28 | 13,829 | 48 | 9,187 |
| 13 | 2,940 | 28 | 14,908 | 48 | 13,806 |
| 13 | 5,530 | 28 | 15,929 | 49 | 702 |
| 13 | 6,368 | 29 | 427 | 49 | 2,439 |
| 13 | 6,401 | 29 | 547 | 49 | 2,471 |
| 13 | 8,234 | 29 | 3,258 | 49 | 2,602 |
| 13 | 8,254 | 29 | 3,768 | 49 | 13,425 |
| 13 | 8,883 | 29 | 5,370 | 49 | 15,296 |
| 13 | 9,894 | 29 | 6,651 | 50 | 133 |
| 13 | 12,195 | 29 | 9,916 | 50 | 219 |
| 14 | 46 | 29 | 12,790 | 50 | 8,863 |
| 14 | 1,869 | 30 | 1,773 | 50 | 9,081 |
| 14 | 8,394 | 30 | 4,145 | 50 | 9,276 |
| 14 | 9,250 | 30 | 10,293 | 50 | 12,295 |
| 14 | 11,458 | 30 | 10,380 | 50 | 14,555 |
| 14 | 13,702 | 30 | 10,942. | | |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის სააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 33 ტირაჟში, რომელიც მოხდა 1 ნოემბერს 1891 წლისას, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა.

ა) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი პირველ იანვრამდე 1881 წლისა (1874 წ. 28 მაისის წესდების ძალით არა ურთიერთობრივის თავდებობით)

18 წ. და 7 თვით.

2 სერიისა

100 მან. ღირსებისა—№№ 3,8

27¹/₂ წ.

2 სერიისა

100 მ. ღირ. №№—36, 110 და 119.
500 მ. ღირ. №№—17, 49.
1000 მ. ღირ. №№—3, 8. 61, 64, 77, 115, 130, 146, 154, 160, 166, 170, 171, 188.

3 სერიისა

100 მ. ღირ. №№—68, 181.
500 მ. ღირ. №№—56, 114, 133.
1000 მ. ღირ. №№—32, 51, 69, 71, 72, 78, 82, 97, 109, 111, 118, 119, 147.

5 სერიისა

500 მ. ღირ. №№—10, 15, 20, 22, 24, 27, 42.

8 სერიისა

100 მ. ღირ. №№—44, 104.
500 მ. ღირ. №№—2, 40.

9 სერიისა

1000 მ. ღირ. №—14.

11 სერიისა

100 მ. ღირ, №№—74, 86, 131, 135, 165, 200.

43¹/₂ წ.

6 სერიისა

100 მ. ღირ. №№—14.

7 სერიისა

100 მ. ღირ. №№—1, 2, 3, 7, 12, 18, 19, 22, 33, 34, 35, 36, 37, 38, 42, 43, 46, 49, 50, 51, 52, 53, 55, 58, 59, 60, 62, 63, 64, 66, 68, 70, 78, 79, 80, 81, 82, 84, 85, 86, 88, 91, 92, 95, 96, 97, 98, 100, 102, 104, 107, 108, 110, 111, 112, 114, 115, 116, 118, 125, 129, 130, 135, 141, 142, 143, 144, 148, 149, 150, 151, 153, 155, 156, 157, 158, 160, 162, 163, 165, 166, 167, 170, 173, 174, 176, 178, 182, 183, 185, 186, 188, 190, 191, 192, 193, 195, 196, 198, 199, 202, 204, 205, 206, 207, 208, 210, 227, 311, 312, 314, 315, 317, 321, 326, 327, 328, 334, 335, 337, 338, 339, 344, 347, 349, 350, 352, 353, 354, 355, 359, 360, 362, 364, 366, 368, 370, 371, 376, 378, 379, 382, 383, 385, 387, 392, 397, 401, 402, 405, 407, 408, 409, 411.

8 სერიისა

500 მ. ღირ. №—61.

9 სერიისა

100 მ. ღირ. №№—26, 178, 284.

10 სერიისა

1000 მ. ღირ. №№—1, 10, 15.

11 სერიისა

100 მ. ღირ. №—55.

54¹/₂ წ.

1 სერიისა

1000 მ. ღირ. №—12.

2 სერიისა

100 მ. ღირ. №№—56, 62, 66.
500 მ. ღირ. №№—2, 6, 8, 13, 21, 31, 35 45.
1000 მ. ღირ. №№—3, 4, 11, 15, 21, 24, 37, 39, 40, 42, 49, 69, 70.

3 სერიისა

100 მ. ღირ. №№—40, 42, 54, 56, 65, 70, 97.
500 მ. ღირ. №№—17, 21, 46, 57, 62.
1000 მ. ღირ. №№—4, 13, 15, 22, 26, 49, 57, 59, 64, 66, 75.

4 სერიისა

500 მ. ღირ. №№—2, 3, 4, 7, 9, 10, 11, 14, 18, 19, 20, 22, 23, 24, 26, 27, 28, 29, 30, 32, 34, 35, 36, 38, 39, 40, 41, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 59, 60, 61, 63, 65.
1000 მ. ღირ. №№—1, 3, 5, 6.

5 სერიისა

100 მ. ღირ. №—190.
500 მ. ღირ, №—171.

6 სერიისა

500 მ. ღირ. №№—1, 2, 3, 4.

ბ) გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 1881 წ. იანვარს შემდეგ 1881 წ. 17 თებერვლის წესდების ძალით ურთიერთობრივის თავდებობით.

27¹/₂ წ.

1 სერიისა

100 მ. ღირ. №№—3, 9, 26, 27, 30, 38, 39, 46, 53, 56, 80, 84, 109, 115, 116, 139, 163, 164, 167, 171, 175, 177, 179, 194, 195, 198, 200, 201, 224, 225, 226, 239.
150 მ. ღირ. №№—34, 36, 44, 46.
500 მ. ღირ. №№—4, 27, 34, 40, 42, 45, 63. 71, 81, 85, 93.

1 სერიისა

1000 მ. ღირ. №№—1, 10, 18, 28, 32, 37, 41, 48, 52, 53, 56, 57, 58, 73, 81, 86, 92, 96, 109, 118, 121, 131, 139, 141, 148, 161, 186, 267, 270, 271, 276, 277, 284, 292, 293, 297, 299, 304, 336, 342, 349, 351, 353, 375, 380, 382.

2 სერიისა

100 მ. ღირ. №№—8, 31, 35, 51, 66, 77, 91, 104, 109, 115, 116, 117, 123, 124, 129, 134, 144, 147, 148, 162, 170, 172, 173, 175, 198, 204, 207, 208, 234, 240, 241, 244, 283, 316, 332, 339, 358, 360, 387, 391, 392, 402, 431, 433.
500 მ. ღირ. №№—18, 21, 30, 33, 64, 74, 86, 102, 103, 105, 117, 127, 144, 145, 147, 156.
1000 მ. ღირ. №№—25, 33, 41, 45, 50, 57, 72, 88, 93, 95, 120, 132, 144, 149, 150, 157, 158, 201, 211, 215, 219, 236, 250, 257, 260, 264, 270, 274, 279, 295, 298, 320, 324, 331, 345, 361, 385, 386, 390, 408, 413, 432, 453, 468, 469, 479, 496, 501, 532, 550, 587, 595, 614, 646, 662, 697, 699, 703 714, 726, 734, 738, 744, 758, 765, 768, 778, 788, 796, 821, 823, 827, 829, 842, 850, 858, 873, 881, 883, 889.

3 სერიისა

1000 მ. ღირ. №№—14, 148.

4 სერიისა

100 მ. ღირ. №—206
500 მ. ღირ. №—31
1000 მ. ღირ. №№—143, 163, 192.

5 სერიისა

100 მ. ღირ. №№—1, 3, 6, 7, 9, 10, 11, 14, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 28, 30, 31, 32, 34, 36, 40, 43, 48, 49, 51, 54, 56, 57, 58, 63, 64, 65, 68, 69, 70, 72, 73, 75, 80, 81, 82, 83, 85, 86, 87, 91, 92, 93, 94, 95, 98, 99, 101, 103, 104, 105, 106, 109, 111, 112, 113, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 125, 127, 130, 132, 133, 134, 135, 136, 138, 139, 140, 141, 142.
500 მ. ღირ. №№—1, 2, 4, 5, 7, 8, 11, 17, 21, 22, 24, 25, 26, 28, 30, 31, 33, 34, 36, 37.
1000 მ. ღირ. №№—1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 18, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 35, 40, 42, 43, 46, 48, 49, 51, 52, 54, 56, 57, 59, 61, 63, 64, 67, 68, 69, 70, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 85, 86, 87, 88, 89, 92, 93, 94, 95, 96, 97, 119, 120, 122, 123, 124, 125, 126, 128, 130, 132, 134, 135, 136, 137, 138, 140, 141, 142, 143, 146, 191, 192, 193, 196, 197, 198, 200, 206, 207, 208, 209, 210, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 222, 223, 224, 226, 227, 228, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 258, 259, 260, 261, 264, 265, 268, 272, 275, 276, 277, 280, 281, 283, 286, 289, 290, 292, 296, 298, 300, 303, 306, 308, 309, 311, 313, 315, 317, 320, 322, 324, 325, 326, 327, 329, 331, 333, 334, 335, 340, 341.

6 სერიისა

100 მ. ღირ. №№—1, 34, 43, 88.
1000 მ. ღირ. №—47.

7 სერიისა

1000 მ. ღირ. №—96.

8 სერიისა

100 მ. ღირ. №№—4, 16, 31, 40, 49, 61, 67.
500 მ. ღირ. №№—13, 22.
1000 მ. ღირ. №№—4, 5, 11, 21, 22, 29, 39, 40, 42, 47, 49, 54.

9 სერიისა

100 მ. ღირ. №№—12, 15, 16, 23, 32, 34, 36, 49, 52, 74, 75, 84.
500 მ. ღირ. №№—6, 13, 34.
1000 მ. ღირ. №№—6, 15, 34, 35, 36, 45, 76.

10 სერიისა

100 მ. ღირ. №№—3, 4, 16, 22, 23, 25, 26, 39.
500 მ. ღირ. №№—4, 9, 12.
1000 მ. ღირ. №№—2, 5, 6, 7, 9, 10, 27, 28, 33, 47, 48.

11 სერიისა

100 მ. ღირ. №№—18, 43, 46.
500 მ. ღირ. №—12.
1000 მ. ღირ. №№—2, 21, 33, 38, 56, 58, 65, 78, 115, 203, 216, 217.

12 სერიისა

100 მ. ღირ. №№—35, 49, 51.
500 მ. ღირ. №№—15, 30.
1000 მ. ღირ. №№—54, 93, 135, 150, 159.

13 სერიისა

100 მ. ღირ. №№—126, 133, 279, 307, 309.
500 მ. ღირ. №№—11, 51, 90.
1000 მ. ღირ. №№—32, 54, 71, 102.

14 სერიისა

100 მ. ღირ. №№—6, 99, 135.
1000 მ. ღირ. №№—57, 62.

15 სერიისა

100 მ. ღირ. №№—122, 163, 200, 208, 214, 215, 218, 223, 238, 240, 247, 260, 262, 265, 267, 272, 356, 406, 422, 428, 431, 460, 543, 562, 570, 604, 609.
500 მ. ღირ. №№—3, 11, 26, 103.
1000 მ. ღირ. №№—5, 31, 71, 73, 112, 121, 139, 148, 228, 232, 237, 249, 254, 257.

16 სერიისა

100 მ. ღირ. №№—1, 6, 14, 25, 27, 37, 46, 50, 59, 63, 66, 72, 79, 81, 91, 94, 99, 103, 108, 111, 118, 127, 137, 152, 167, 172, 175, 177, 184, 186, 188, 195, 196, 199, 200, 203, 206, 219, 223, 225, 226, 231, 236, 253, 256, 257, 318.
500 მ. ღირ. №№—1, 5, 14, 32, 37, 48, 51, 53, 54, 67, 77, 80, 83.
1000 მ. ღირ. №№—6, 36, 65, 69, 73, 76, 95, 98, 103, 110, 117, 121, 124, 125, 126, 135, 138, 139, 146, 147, 155, 156.

18 სერიისა

100 მ. ღირ. №№—51, 62, 112' 125, 347.
500 მ. ღირ. №№—50, 126, 150, 197, 274, 307, 348, 398.
1000 მ. ღირ. №№—74, 181, 300, 307, 440, 441, 469, 489, 541, 548, 562, 607, 630, 641, 693, 707.

20 სერიისა

100 მ. ღირ. №№—12, 21, 49, 65, 67, 72, 82, 83, 119, 139, 147, 163, 164, 205, 270, 272, 291, 306, 315, 321, 329, 339, 343, 348, 350, 357, 369, 372, 388, 394.
500 მ. ღირ. №№—6, 13, 17, 18, 26, 43, 51, 64 69, 108, 122, 145, 168, 174.
10000 მ. ღირ. №№—7, 10, 13, 20, 22, 151, 165, 186, 187, 194, 198, 207, 222, 224, 225, 232, 235, 237, 241, 250, 253, 256, 257, 260, 271, 273, 276, 291, 299, 325, 334.

22 სერიისა

100 მ. ღირ. №—2.

43¹/₂ წ.

1 სერიისა.

100 მ. ღირ. №№—34, 60
500 მ. ღირ. №—28.

2 სერიისა

500 მ. ღირს №—9

3 სერიისა

100 მ. ღირ. №№—25, 108.
1000 მ. ღირ. №—32.

4 სერიისა

100 მ. ღირ. №№—15, 41.
500 მ. ღირ. №—30.
1000 მ. ღირ. №—77.

5 სერიისა

100 მ. ღირ. №№—11, 13, 29, 38, 53, 55, 91, 93, 107.
500 მ. ღირ. №№—20, 30, 46.
1000 მ. ღირ. №№—5, 12, 19, 26, 66, 73, 79, 85, 86, 93, 98, 99, 100, 103, 106, 118, 125, 129.

6 სერიისა

1000 მ. ღირ. №—12.

7 სერიისა

500 მ. ღირ. №—14.
1000 მ. ღირ. №№—2, 8, 22, 24, 41, 42, 54, 123.

8 სერიისა

100 მ. ღირ. №№—10, 16, 28, 37, 47, 73, 84, 95, 104, 115, 125, 128, 136, 140, 180, 183, 187, 205, 210, 217, 228, 253, 254, 272, 274, 295, 321, 332, 336, 338, 369.
500 მ. ღირ. №№—6, 7, 29, 51, 54, 56, 58, 59.
1000 მ. ღირ. №№—11, 29, 40, 53, 54, 63, 67, 74, 96, 100, 104, 177, 212, 217, 220, 228, 232, 240, 259, 261, 270, 287.

9 სერიისა

100 მ. ღირ. №№—37, 65.
500 მ. ღირ. №—16.

12 სერიისა

1000 მ. ღირ. №№—6, 20, 22, 23.

17 სერიისა

100 მ. ღირ. №№—1, 11, 13.

18 სერიისა

500 მ. №№—18, 24, 34, 56.
1000 მ. ღირ. №№—3, 72, 73, 78, 91, 93, 97, 109.

გირავნობის ფურცლები 5%

36 წ. და 4 თვით.

1 სერიისა

100 მ. ღირ. №№—550, 617, 632.
500 მ. ღირ. №№—219, 220, 226.
1000 მ. ღირ. №№—273, 289.

61 წ. და 8 თვით.

1 სერიისა

100 მ. ღირ. №—923.

ამ ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა ფულის მიღება შეიძლება. ქ. ტფილისს, ბანკის კასსაში, ს.-პეტერბურგსა და ვარშავში ბ-ნ ვაველბერგის საბანკო სახლის კანტორაში, მოსკოვს პოლიაკოვის კანტორაში და სახელმწიფო ბანკის ყველა კანტორასა და განყოფილებაში.